ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 25

"5" თებერვალი 2016 წ.

ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „ქ.თბილისის მერიის მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრისა" და „მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლის" ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 64- ე მუხლის „ა" პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ლ" ქვეპუნქტების, 106[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნი, პირველი კარის II თავისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 13 იანვრის №02.04.28, №02.05.29 განკარგულებების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქ.ბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „ქ.თბილისის მერიის მ. კეკელიძის სახელობის კალათბურთის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრისა" და „მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სასახლის" ლიკვიდაციის თაობაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე ვიორგი ალიბეგაშვილი